პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 165 (3649)

22 აგვისტო, ხუთშაბათი.

1968 წელი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

! სპორტი !

◆ **სიტარდი**, 21 აგვისტო. ჰოლანდიის ამ ქალაქში მძლეოსანმა ქალებმა ი. კეიცერმა, ტ. ვან დერ მადემ და მ. გომერსმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარეს ესტაფეტაში 3×800 მ — 6.15,5.

◆ **ლონდონი**, 21 აგვისტო. 440 იარდზე კომპლექსურ ცურვაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 18 წლის მ. პოლტაუსმა (გფრ)—4.46,8.

◆ **ბუდაპეშტი**, 21 აგვისტო. მოფარიკაველთა აქ დაწყებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მხოლოდ IV ადგილი დაიკავა ცნობილმა საბჭოთა რაპირისტმა ი. სისოკინმა. გაიმარჯვა პოლონელმა ვ. ვოიდამ.

◆ **დეგრეცენი**, 21 აგვისტო. უნგრეთის ამ ქალაქში მონაწილეთა ძლიერი შემადგენლობა მიიზიდა საერთაშორისო შეჯიბრებამ წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა უ. ფუნდინმა (შვეცია) — 15 ქულა. რუნინელი ვ. ტროფიმოვი 13 ქულით II ადგილზეა. ამდენივე ქულით III ადგილზეა უფალი ი. ჩეკანოვი.

◆ **რემბერტოვი**, 21 აგვისტო. ვარშავის ახლოს მდებარე ამ ქალაქში გაიმართა ორი მეგობრული არმიის — პოლონეთისა და სსრკ კავშირის მესტენდურეთა მატჩი. ვაქებში გაიმარჯვეს სტუმრებმა (2:0), იუნიორებში კი ძალები თანაბარი აღმოჩნდა — 1:1.

◆ **ვისბადენი** (გფრ), 21 აგვისტო. ევროპის იუნიორ წარიოლელთა აქ გამართულ VI ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა: პროგრამის 10 სახეობიდან ექვსში გაიმარჯვეს.

◆ **ბრნიაჩკა-ბანია**, 21 აგვისტო. ოუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში გაიმარჯვა ჰ. კონარკოვსკასოკოლოვამ. ასეთ წარმატებას მან პირველად მიაღწია. 15 შესაძლებლიდან ჩემპიონს 13 ქულა აქვს. II ადგილზეა მ. მარკოვიჩი (ლაზარევიჩი) — 12,5, III — რ. ოვანოვიჩი (10,5), IV— ბელამარიჩი — 9,5. ოთხივემ მსოფლიო ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიხვეჭა.

◆ **ბუდაპეშტი**, 21 აგვისტო. უნგრეთის თასის მფლობელი გახდა მტკ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ადგილობრივი „ჰონვედის“ უცხბურთელები — 2:1.



ჯუჯუნ...

გრიქიტ მანსიუ და მისი მეგობრები — ჩვენი სტუმრები

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სორბონის უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა მეგობრობას რამდენიმე წლის ისტორია აქვს. შარშან ქართველმა სტუდენტებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს ფრანგული სტუმართმოყვარეობა. წლეულს როლები შეიცვალა: გუშინ ჩვენს დედაქალაქში სორბონელი სტუდენტები ჩამოვიდნენ.

* * *

სურათზე: სორბონელი სტუმარი ბრიჟიტ მანსიუ მზადაა ფოტოფირზე გადაიტანოს ყველაფერი საინტერესო.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჯუჯუნ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი საკავშირო პირველობაზე. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 1:0.



ᲥᲮᲘᲠᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

● **ვუპერტალი**, 20 აგვისტო. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში გაიმართა გფრ-ისა და შვეიცარიის მოცურავეთა მატჩი, რომელიც რამდენიმე ადგილი შედეგით აღინიშნა. მასპინძელმა ჰანს ფასნაპტმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მოხსნა საბჭოთა სპორტსმენის ს. ბელიც ევროპის ევროპული რეკორდი (16.52,7). ახლა რეკორდების ცხრილში შევა ციფრები: 16.46,7. 18 წლის ლუტც სტოკლასამ 100 მეტრზე პატერფლაით 58,1 წამი აჩვენა, რაც საბჭოთა მოცურავე ა. გორდეევის ევროპული რეკორდის გამეორებაა.

● **ჰანოვერი**, 21 აგვისტო. გფრ-ის ამ ქალაქში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მასპინძელი ქვეყნის მოკრივეთა მატჩი (ამერიკელებმა ოლიმპიური გუნდი გამოიყვანეს). გაიმარჯვეს გერმანელებმა — 7:3.

ჩემპიონი ემზადება

ალბათ იცანით ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ეს სურათები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა ამას წინათ გადაიღო სოხუმში, სადაც ამჟამად ნონა ა. კუშნირთან მსოფლიოს პირველობაზე სათამაშოდ ემზადება.

ახლოვდება მატჩის დაწყების დროც: 1968 წლის 19 სექტემბერი. ამ დღეს ტალინში (ესტონეთი) მეტოქენი ბრძოლას შეუდგებიან.

ნონა უკვე ნახევარ წელზე მეტია გულმოდგინედ ეცნობა თეორიის სიახლეებს, ამუშავებს სადებიუტო რეპერტუარს, თამაშობს სხვადასხვა მეტოქესთან... კონკრეტულად ვისთან და როგორ ითამაშა ნონამ, რა საკითხებზე იმუშავა და მუშაობს, რასაკვირველია, ჯერ საიდუმლოდ რჩება.

მსოფლიო ჩემპიონს მოსამზადებელ მუშაობაში ამჯერად ეხმარებიან ახალი მწვრთნელი და სეკუნდანტი, ესტონელი საერთაშორისო ოსტატი ივო ნეი და მწვრთნელი-კონსულტანტი, ლატვიელი დიდოსტატი აივარ გიპსლისი.

ესტონეთის ხუთგზის ჩემპიონი ი. ნეი 37 წლისაა. მას ბევრჯერ უთამაშია სსრ კავშირის ჩემპიონატებში. ერთხელ დიდოსტატი ლ. შტეინიც დაამარცხა მატჩში. ნეიმ სპორტის ოსტატის წოდება 1956 წელს მოიპოვა, ამ ორი წლის წინათ კი ბევერვეიკში დიდოსტატის ნორმაც შეასრულა, მაგრამ რაკი საერთაშორისო ოსტატი არ იყო, ფიდე-მ არ მიანიჭა უმაღლესი წოდება. ნეი რამდენიმე საჭადრაკო წიგნის ავტორია. წლების მანძილზე იგი გამოჩენილი ესტონელი დიდოსტატის პ. კერესის მწვრთნელი იყო.

31 წლის ა. გიპსლისი ჭადრაკის დებიუტების აღიარებული თეორეტიკოსი, სსრ კავშირის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორია. შარშან იგი მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირშიც მონაწილეობდა.

ამ შესანიშნავი მოჭადრაკეების ხელშეწყობით ნ. გაფრინდაშვილი სრულყოფს თავის ოსტატობას. ერთ-ერთ სურათზე თქვენ მას გიპსლისთან მეცადინეობისას ხედავთ.

მხოლოდ ჭადრაკში ვარჯიში, რა თქმა უნდა, არ კმარა წარმატებისათვის იმ დამქანცველ ბრძოლაში, რომელიც ნონას ელის. იგი ისვენებს, კითხულობს, შავი ზღვის სანაპიროზე სეირნობს... ერთი სიტყვით, ფიზიკურად კაუდება: ჩემპიონობისთვის ბრძოლა ხომ თითქმის თვენახევარს გასტანს (მატჩში 16 პარტია გათამაშდება).

თ. გიორგაძე.

ორი აზრი ერთ მატჩზე

ოთხი ტრავმა — ოთხი გოლი

ამ სათაურის წამკითხველმა შეიძლება ავტორს დასწამოს, რომ მას სურს გამამართლოს „ნეფტჩის“ განადგურება თბილისის სტადიონზე. გასამართლებელი კი თითქოს არაფერია. ოთხი „შრალი“ ბურთი კომენტარებს არ საჭიროებს. ყოველივე ეს ასეა, თუ მატჩის შედეგს განვიხილავთ, როგორც მწვ პროდუქტს და თამაშის წვრილმან მხარეებს მოვეშვებით. მე კი ვფიქრობ, საქმე სწორედ ამ უკანასკნელშია და სრულიადაც არა იმიტომ, რომ მთლიანად მოვახდინოთ გუნდის რეაბილიტაცია. მიზანი სხვაა — მოვეხმაროთ გუნდს, გუნდს რომელმაც ორი წლის მანძილზე პირველად იწვნია ასეთი მარცხი.

თბილისს რომ მივემგზავრებოდი, ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი მომავალ მატჩში „ნეფტჩისთვის“ ხელსაყრელ შედეგზე. ეს განწყობა გამოწვეული იყო იმ ამბებით, რომლებიც წინ უძღოდა შეხვედრას. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ქუთაისში დამარცხების შემდეგ ათდღიან შვებულებაში გავიდნენ. და ეს ხანი საფუძვლით საკმარისია შემდგომი ორთაბრძოლისთვის მოსამზადებლად, „ნეფტჩრმ“ კი 7 აგვისტოს ჩაატარა თამაში, რომელსაც ერთობ დიდი ენერგია შეალია. თასის მატჩის მოგება მოწინააღმდეგის მინდორზე რთული ამოცანაა (სიტყვამ მოიტანა და, თბილისელები გამოუთიშნენ თასის გათამაშებას ხვერდლოვსკში მეორე ლიგის ადგილობრივ გუნდთან შეხვედრის შემდეგ). ამრიგად, ბაქოელთა განკარგულებაში სულ სამდღიანი დასვენება იყო, აქედან ორი დღე მოუნდა ფრენას ალმა-ათიდან ბაქოში და შემდეგ — თბილისში. გაიხსენეთ, როგორ გრძნობთ თავს ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ და თქვენთვის ნათელი გახდება ფეხბურთელთა მდგომარეობა.

შემდეგ. სატურნირო ადგილი მასპინძლებისა, რომლებიც ჩემპიონატის მედლების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატები არიან, მათგან მოითხოვდა უაღრესად საჭირო ორი ქულის აღებას. „ნეფტჩისაც“ ასევე სჭირდებოდა ქულები, თუმცა ქულებს მათთვის ამ შემთხვევაში არ ჰქონდა ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა. გამოდის, რომ ოპტიმიზმისთვის მე ერთობ ცოტა რამ მრჩებოდა.

მატჩის პირველი 15 წუთი „ნეფტჩის“ სასარგებლოდ მიმდინარეობდა. ორივე გუნდი ერთნაირ ტაქტიკას ადგა: ზონური დაცვა საკუთარი კარის მისადგომებთან და ბურთის თანმიმდევრული გათამაშება წინ მოძრაობის დროს. ბაქოელებს ხელს აძლევდა ბრძოლის ასე წარმართვა. ისინი სჯობდნენ კიდეც მასპინძლებს და პირველს შეეძლოთ წარმატების მოპოვება. გაჯიევმა „კედელი“ გაითამაშა ტუაევთან და ოდნავ წინ გადაინაცვლა. ბანიშევსკი, რომელიც მასპინძელთა საჯარიმო მოედნის ცენტრში მოძრაობდა ხურცილავას და რეყვიაშვილს შორის, გარბის თავისუფალ ადგილზე. აქვე მისი მისამართით შესრულდა გადაცემა. ანატოლიმ მიიღო ბურთი, მაგრამ ვერ შეძლო ხელირიანად მოერგო იგი და მომზდარი ამბით დაბნეულმა მცველებმა შვებით ამოისუნთქეს.

დინამოელებმა დაიწყეს საპასუხო შეტევა და სტუმრების საჯარიმო მოედანს მიაღწიეს. ყველაზე ბოლო ასათიანი აღმოჩნდა ბურთით. იგი საჯარიმო მოედნის მარცხენა კუთხეში იმყოფებოდა და ეძებდა თავისუფალ მოძრავ პარტნიორს. ყველა მათგანს „ნეფტჩის“ მცველები სდარაჯობდნენ და თბილისელმა გადაწყვეტა თვითონ გასულიყო კართან. გაჯიევმა, რომელიც უკან მიქყვებოდა მას, წაართვა ბურთი, მაგრამ ვერ შეძლო მისი გაჩერება და დაეცა. მსაჯმა გაფრთხილება მისცა ასათიანს უხეშობისთვის, გაჯიევი კი თამაშს კოჭლობით განაგრძობდა (მხოლოდ ამიტომ შეასრულა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა მარქაროვმა).

რამდენიმე წუთის შემდეგ მეტრეველთან ორთაბრძოლისას წონასწორობა დაკარგა ი. ბაბაევმა. მანამდე მან არც ერთხელ არ მისცა მეტოქეს მოტყუების საშუალება, მაგრამ ტრავმის შემდეგ სწორედ მისი ფლანგიდან დაიწყო ყველა უსიამოვნება. მეტრეველს ახლა უკვე დიდი შრომა აღარ სჭირდებოდა, რომ მოხდენილად და სწრაფად აეყვანა გვერდი თავისი ოპონენტისთვის. საჭირო გახდა იაშარის (იაშარი სახელია ბაბაევისა. — რედ.) შეცვლა ბოგდანოვით. შეჩერება თბილისელთა იერიშის ლიდერისა, რომელიც სრული ძალით ათამაშდა, უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ორმა გატანილმა ბურთმა დაბნია სტუმრები და გააქტიურა მასპინძლები. შუა ტაიმში „სათამაშო საუბარი“ ტუაევისა ცხოვრებოვთან დამთავრდა ბაქოელის ტრავმით. მატჩის მეორე ნახევარში ტუაევი აღარ გამოსულა. ბაქოელებმა თამაში ფაქტიურად 10 კაცის შემადგენლობით დაამთავრეს. ხურცილავამ სახიფათოდ შეუტია ბანიშევსკის, რის შემდეგ ფორვარდმა დატოვა მინდორი, და, ეტყობა, დიდი ხნითაც. ასე იქნენ ძლეული სტუმრები თბილისში. გაჯიევს აღარ შეეძლო მხარი დაეჭირა თავისი წინა ხაზის ივერიშისთვის, რომელსაც ერთბამად ორი მთავარი თავდამსხმელი აკლდა. მარქაროვის ცდებს, რომ გასულიყო უძლიერესი დაცვის რიგებში, წარმატება არ მოჰყოლია. და თუ შეხვედრის დასაწყისში მთელ გუნდს შესწევდა ბრძოლის ძალა, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ იგი უკვე უძლური ჩანდა.

მიმდინარე პირველობის კალენდარი მეტისმეტად მკაცრი აღმოჩნდა ვადების მხრივ. ამ შენიშვნის მიზანი მარტო „ნეფტჩის“ დაცვა არაა. სულ ახლახან ბაქოელები თბილისელთა როლში იყვნენ: მათ თავიანთ მინდორზე მიიღეს მოსკოვის „ტორპედო“, რომელიც ბაქოში თამაშამდე ორი დღე იბრძოდა თასის მატჩში ცსკა-სთან. ბაქოელებმა ინერტული ტორპედოელები გაანადგურეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ ვერ შეძლეს თავიანთი დიდი უპირატესობა ანგარიშში გამოესახათ. მაშინ არც ერთ ავტოქარხნელს არ დაუტოვებია თამაშობდნენ ძალზე კორექტულად და არ აძლევდნენ თავს მეტოქის მიმართ უხეშობის უფლებას. თურმე გამარჯვების მისაღწევად ყველა საშუალება კარგი როდი ყოფილა. ასე რომ, თბილისში ჩატარებულმა თამაშმა გული გვატკინა არა მარტო ოთხი გოლით, არამედ მწყობრიდან გამოსული ოთხი ფეხბურთელითაც. ეს საგანგაშოა. ბაქოელებს ხომ ახლა მოელით წლევანდელი წლის უმთავრესი დუელი თავიანთი პრესტიჟისთვის, დუელი თასის ნახევარფინალურ მატჩში.

თამაშის შემდეგ მე დავდიოდი თბილისის ქუჩებში, რომელიც უსმენდა მატჩის რეპორტაჟს ქუთაისიდან. თბილისელები დიდის ამბით განიცდიდნენ თამაშის მსვლელობას, სადაც აუტსაიდერი პირველობის ლიდერს — მოსკოვის „სპარტაკს“ უგებდა ანგარიშით 2:0. ეს სავსებით გასაგები, კანონზომიერი აჟიოტაჟი კიდევ უფრო გააღვივა ცნობამ სახიფათო ზონაში ქუთაისელთა მეტოქეების — კიროვაბადელთა დამარცხების შესახებ. ახლა დინამოელები დაკარგული ქულებითაც უთმობენ პოზიციებს თავიანთ ვრთადერთ კონკურენტს.

ვაგიფ ალიევი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

თბილისი — ბაქო.

(„მოლოდიოჟ აზერბაიჯანა“).

რედაქციისაგან

დღეს ვბეჭდავთ აზერბაიჯანის გაზეთ „მოლოდიოჟ აზერბაიჯანას“ 13 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სარეცენზიო წერილს „ოთხი ტრავმა — ოთხი გოლი“, რომელიც ეხება 10 აგვისტოს თბილისში ჩატარებულ მატჩს სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ შორის.

ეს შეხვედრა, რომელიც თბილისელებმა დიდი ანგარიშით (4:0) მოიგეს, ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ. განსაკუთრებული და ექსტრავაგანტური არაფერი მომხდარა: ერთმა გუნდმა მოუგო მეორეს, მატჩის შედეგი შეტანილია გათამაშების ცხრილში და იგი საფეხბურთო ისტორიის კუთვნილება გახდა როგორც ყველა სხვა ასეთივე შეხვედრა. შეიძლება, ეს 4:0 ოდესმე დასჭირდეთ სტატისტიკოსებს. ეს არის და ეს...

მაგრამ ჩვენ იძულებული გავხდით მაინც დავბრუნებოდით 10 აგვისტოს შეხვედრას და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გვაიძულა „მოლოდიოჟ აზერბაიჯანაში“ დაბეჭდილმა ვ. ალიევის წერილმა. რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ალიევის წერილს მთლიანად, სიტყვა-სიტყვით ვბეჭდავთ და ამ მცირე კომენტარს ვუკეთებთ:

თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენი ბაქოელი კოლეგა არც თამაშის მსვლელობას აღწერს და არც გატანილ ბურთებს, თითქოს, თბილისელები ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე იყვნენო წინ ამ 4 ბურთით და თვით მატჩის მსვლელობაში არ გაუტანიათ ისინი. ეს ავტორის საქმეა. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი: სად, როდის ნახა ალიევმა ის, რომ თბილისის დინამოელები გაუთავებლად, მოურიდებლად უხეშობდნენ მთელი თამაშის განმავლობაში, ნადირობდნენ „ნეფტჩის“ წამყვან ფეხბურთელებზე, დაამტვრიეს ოთხი მათგანი და სწორედ ამიტომ... „ასე იქნენ ძლეული სტუმრები თბილისში“.

როგორ გეკადრებათ. ეს ხომ მკითხველის დეზორიენტირებაა, ე. წ. აკრძალული ფანდი! თამაშს ვუყურებდით ჩვენც, სტადიონზე მსხდომნი, უყურებდნენ ტელემაყურებლებიც, მათ შორის, აზერბაიჯანელი გულშემატკივრებიც. როდის ეთამაშა ხურცილავა უხეშად ბანიშევსკის? სად ნახა ავტორმა, რომ მეტრეველი დასამტვრევად დასდევდა ი. ბაბაევს? რაში სჭირდებათ მეტრეველს ან ხურცილავას უხეშობა ამ ოპონენტებთან ბრძოლაში?

ამ მატჩზე „ლელოში“ უკვე გამოქვეყნდა რეცენზია, მაგრამ მას აქ არ მოვიყვანთ მხოლოდ იმიტომ, რომ სუბიექტურობა და საკუთარი ნათქვამის ხელახლა არგუმენტად მოშველიება არ დაგვწამონ. სჯობს ვილაპარაკოთ სხვა ავტორიტეტული წყაროებით.

„სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბერეზოვსკი მატჩის ანგარიშში (13 აგვისტოს ნომერი) წერს:

„დინამოელთა იერიშების ლიდერი (ლაპარაკია მეტრეველზე. — რედ.) გოლის გაუტანლად გავიდა მინდვრიდან და არც ყველა იმ კომბინაციაში მიუღია მონაწილეობა, რომლებიც გოლით დამთავრდა. მაგრამ მან თავისი „ძირგამომთხრელი“ მუშაობით შეამზადა ნიადაგი გამარჯვებისთვის. შემთხვევითი არაა, რომ უკვე თამაშის პირველ ნახევარში „ნეფტჩის“ მწვრთნელებმა მარცხენა მცველი შეცვალეს, ვინაიდან იგი სრულიად უმწეო იყო ბრწყინვალედ მოთამაშე მეტრეველის წინააღმდეგ“.

კიდევ:

„დაცვაში ხურცილავა თითქმის უნაკლო იყო. თითქმის იმიტომ, რომ თამაშის დასაწყისში მან ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, რომელიღაც მომენტში გაუშვა ბანიშევსკი, რომელმაც იქვე გადააწოდა ბურთი ტუაევს“.

ხადაა აქ უხეშობაზე ლაპარაკი?

ახლა მივმართოთ აზერბაიჯანის რესპუბლიკურ გაზეთ „სპორტის“ 13 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიას:

„ჩვეულებრივ, ი. ბაბაევი საკმაოდ წარმატებით ებრძვის ხოლმე მეტრეველს და ჩვენ გვახსოვს კიდეც მატჩები, სადაც ბაქოელმა შეძლო მისი თამაშიდან გამოთიშვა. მაგრამ შაბათის შეხვედრაში იაშარს მინდვრის დატოვება მოუხდა ჯერ კიდევ პირველი ტაიმის შუაში. იმ დროისთვის ანგარიში იყო 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ და მათ ორივე ბურთი გაიტანეს მეტრეველის მაღალი ხელოვნებას წყალობით, რომელიც ზოგჯერ ძნელად ასაწერიც კია“.

ხედავთ, რატომ გაუყვანიათ ი. ბაბაევი მინდვრიდან?

შემდეგ:

„... ჩვენ არ გვინდა როდესმე ვიხილოთ „ნეფტჩი“ ასეთ უნიათო, მორიდებულ კოლექტივად, როგორიც იგი განვლილ შაბათს იყო“.

აი, ესაა საქმის თავი და ბოლო. ერთმა გუნდმა დაამარცხა მეორე და აქ „დამხმარე“ არგუმენტების ძებნა წყალს ნაყვაა. ვ. ალიევს სწორედ ფუჭად დაუკარგავს დრო ასეთი „მაშველი“ საბუთების ძიებაში. თუ ფეხბურთი კარგად იცის, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ თბილისის „დინამო“ და უხეშობა შორს დგანან ერთმანეთისგან.

და ბოლოს, მოვიშველიებთ იმავე ვ. ბერეზოვსკის სიტყვებს: „... ძლიერმა აიძულა შოწინააღმდეგე სუსტი ყოფილიყო“.

აი, ასე იქნა გატანილი ოთხი გოლი

„ლელოს“ ფეხბურთის ყურადღებისთვის

„მარტო ნიკი არ კმარა“

ჩვენი გაზეთის 28 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში ვწერდით, რომ ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საცდელ-საჩვენებელ მეურნეობაში ფიზკულტურელთა სატკივარს ნაკლები უურადღება ექცევა, არა აქვთ სპორტული ბაზები და სხვ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის მეორე მდივანი ც. ებერლაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. საკითხი მსჯელობის საგნად იქცა და მიღებულია სათანადო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გვესტუმრებიან დაღესტნელები

თელავის ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზა (დირექტორი ე. გეგელიძე) მომზადებული შეხვდა ახალ სეზონს. ტურბაზამ უკვე მიიღო 6 ჯგუფის 150-მდე ნორჩი ტურისტი. პირველნი ხარკოველები ჩამოვიდნენ, შემდეგ გვესტუმრნენ გორიდან, ქარელიდან, თერჯოლიდან. V-VIII კლასების მოსწავლეებს ხელმძღვანელობდნენ პედაგოგები შ. კვაშალია, ნ. შიუკაშვილი და შ. ფუტკარაძე, ხარკოველებს კი სათავეში ედგნენ ვ. კორნილოვი და ვ. ხოდორკოვსკი.

ტურბაზას ემსახურებიან გამოცდილი მასწავლებლები — ექსკურსმძღოლები ა. კვინტარაძე, თ. უაჯრიშვილი და ნ. გაგოიძე.

ნორჩი ტურისტები სამი დღის განმავლობაში ათვალიერებენ და ეცნობიან კახეთის ღირსშესანიშნაობებს.

ხარკოვის ჯგუფის ხელმძღვანელი კორნილოვი შთაბეჭდილებათა წიგნში წერს: „მოგვიბიბლა კახეთის ბუნებამ, მუდამ აღფრთოვანებული ვიყავ. ბალავარდს, გრემს, ალავერდს, ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს წინანდალში, ილია ჭავჭავაძისა და კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებს ყვარელში...“

შარშან ტურბაზა 400-მდე ტურისტს მოემსახურა, წლეულს კი ეს რიცხვი 700-მდე გაიზრდება.

ახლა ტურბაზა დაღესტნელ ფეხბურთელებს ელის.

ხ. შეშაბერიძე.

თელავი.

„ბ“ ჯგუფი

19 აგვისტოს გაიმართა IV ზონის გუნდების მორიგი კალენდარული მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „მაღაროელი“ (ქიათურა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „უროქაი“ (კრიმსკი) 3:1, „ტრუდი“ (ყასპიისკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „კახეთი“ (თელავი) — „შექურა“ (ქობულეთი) 2:2, „ირისთონი“ (მოზდოკი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 1:0, „დინამო“ (სოხუმი) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი) 4:1, „კოლხეთი“ (ფოთი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 0:1.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 22 აგვისტოსათვის

III ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ბელგოროდი)	25	16	5	4	51—15	37
„დილა“ (გორი)	26	15	7	4	47—16	37
„უროჟაი“ (მაიკოპი)	26	15	5	6	37—14	35
„წრ. რეზერვები“ (კურსკი)	25	15	5	5	36—30	35
„ხიმიკი“ (ბალაკოვო)	26	11	11	4	24—14	33
„მეტალურგი“ (რუსთავი)	26	13	5	8	24—16	31
„სპარტაკი“ (ორიოლი)	25	10	10	5	29—17	30
„ენერგია“ (ვოლუსკი)	26	9	9	8	26—20	27
„ალაზანი“ (გურჯაანი)	26	11	5	10	31—28	27
„ტორპედო“ (არმავირი)	24	9	7	8	23—23	25
„უროჟაი“ (ლაბინსკი)	25	8	9	8	13—29	25
„უროჟაი“ (სლავიანსკი)	25	9	6	10	26—24	24
„კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია)	26	9	6	11	22—27	24
„დაშკინი“ (ზაკათალა)	25	9	6	10	22—37	24
„ტრუდი“ (ენგელსი)	24	7	8	9	19—20	22
„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური)	25	6	8	11	17—32	20
„უროჟაი“ (სვეტლოგრადი)	26	5	9	12	18—35	19
„ხიმიკი“ (ნევინომისკი)	25	5	8	12	20—28	18
„უროჟაი“ (ლენინგრადსკაია)	25	4	10	11	15—27	18
„არაზი“ (ნახიჩევანი)	25	4	5	16	17—47	13
„ურალანი“ (ელისტა)	25	1	5	19	20—48	7

IV ზონა

„ლორი“ (კიროვაკანი)	25	12	11	2	23—14	35
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	26	12	10	4	34—14	34
„ხევანი“ (ოქტემბერიანი)	26	13	6	7	38—22	32
„მაშუკი“ (პიატიგორსკი)	26	13	5	8	32—18	31
„გურია“ (ლანჩხუთი)	25	12	5	8	37—26	29
„არაქსი“ (ეჩმიაძინი)	26	13	3	10	27—24	29
„მერცხალი“ (მახარაძე)	26	10	7	9	28—33	27
„დინამო“ (სოხუმი)	26	11	4	11	36—27	26
„უროჟაი“ (კრიმსკი)	25	8	10	7	27—25	26
„უროჟაი“ (დერბენტი)	24	9	8	7	22—23	26
„შუქურა“ (ქობულეთი)	26	8	10	8	28—30	26
„ნარზანი“ (ყისლოვოდსკი)	25	8	9	8	27—19	25
„კოლხეთი“ (ფოთი)	26	10	5	11	32—25	25
„მაღაროელი“ (ქიათურა)	24	8	9	7	24—21	25
„ირისთონი“ (მოზდოკი)	26	9	7	10	28—27	25
„ტრუდი“ (ყასპიისკი)	25	10	5	10	26—29	25
„ენგური“ (ზუგდიდი)	26	8	9	9	21—25	25
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	25	5	8	12	14—26	18
„ლენინგორცი“ (ყაფანი)	25	7	3	15	19—39	17
„უროჟაი“ (გროზნო)	24	4	6	14	23—40	14
„კახეთი“ (თელავი)	25	3	6	16	13—41	12

„ჯ“ ჯგუფი

მესამე ქვეჯგუფი

20 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

საქართველოს სამივე გუნდს გასვლითი მატჩი ჰქონდა. ბათუმის „დინამომ“ ფრედ (0:0) დაამთავრა თამაში მაგნიტოგორსკის „მეტალურგთან“. ტყიბულის „მეშახტე“ ჩელიაბინსკში შეხვდა „ლოკომოტივს“ და ასევე ფრედ ითამაშა — 2:2. მხოლოდ თბილისის „ლოკომოტივმა“ განიცადა მარცხი უფაში „სტროიტელთან“ და ისიც დიდი ანგარიშით — 1:4.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „მერგი“ (გროზნო) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:1, „ვოლგა“ (გორკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:2, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 3:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 2:0, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ გუდაშვილის რეკორდი

წახკადორი, 20 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ყველა ჩვენი საუკეთესო მორბენალი 800, 1500, 5000-მეტრიან დისტანციებზე, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის ყველა ოსტატი ბრძოლას განაგრძობს ნახევარფინალურ და ფინალურ შეჯიბრებებში, სადაც საოცნებო ოქროს მედლები და მეხიკოს საგზურები უნდა გათამაშდეს.

მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატმა ლენინაკანიდან აქ გადმოინაცვლა, სადაც შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი ტარდება. ტურნირის პირველ დღეს წინასწარ შეჯიბრებებში უძლიერესთა შერჩევა ხდებოდა. მწვანეში ჩაფლული წახკადორი სომხეთის „პიონერთა რესპუბლიკაა“. მაყურებელთა შორის ტყუილად როდი სჭარბობდნენ წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭები. ისინი მთელი რაზმებით მოვიდნენ ასპარეზობის სანახავად.

800 მეტრზე რბენა იოლი საქმე როდია, თუნდაც წახკადორის სტადიონის რეზინ-ბითუმის შესანიშნავ ბილიკზე. აქ ხომ სიმაღლე „მექსიკურია“, მეხიკოში კი, როგორც ცნობილია, სახელგანთქმულმა იუგოსლავიელმა ვერა ნიკოლიჩმაც კი წინაოლიმპიურ კვირეულში მხოლოდ 2.05,3 აჩვენა (დაბლობში მისი მსოფლიო რეკორდია 2.00,5).

ამასთან, მძლეოსანი ქალების ამოცანა საკმაოდ მოკრძალებული იყო — ნახევარფინალურ ოთხეულში მოხვედრა. სიურპრიზი შემოგვთავაზა მხოლოდ ერთმა მონაწილემ — ესტონელმა ე. ხანსუმაამ, რომელიც ფინიშთან მოულოდნელი მძლავრი ბიძგით ელვის უსწრაფესად გაიჭრა წინ და ჩამოიტოვა გამოცდილი სპორტსმენები რ. დიიასტინოვა და ა. კოლესნიკოვა. ქვეყნის რეკორდსმენი, ესტონელი ლ. ერიკი მხოლოდ მეოთხე იყო.

ვაჟებში ამ დისტანციაზე არ გამოსულა, შეიძლება ითქვას, ყველაზე ძლიერი სპორტსმენი — 18 წლის ა. არეანოვი (უკრაინა). იგი უქეიფოდ იყო. სამაგიეროდ, 1500 მეტრზე სრული შემადგენლობა გამოვიდა. წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ფინალში გაიმარჯვეს მინსკელმა მ. ჟოლობოვსკიმ და კემეროველმა ა. ბერლანმა.

5000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობეს ჩემპიონსარელმა ნ. პუკლაკოვამ და მოსკოველმა ი. ალექსაშინმა. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველობდნენ ლენინგრადელი ლ. ნაროდიცკი და კაუნასელი ვ. დუდინი, რომლის წარმატებაც მოულოდნელი იყო. ასპარეზობა ტარდება იმავე ფორმულით, რომლითაც ოლიმპიურ მეხიკოში უნდა ჩატარდეს.

დისტანცია რომ დაამთავრეს, სპორტსმენები ექიმების ალყაში მოექცნენ: სიმაღლის მიმართ მათი სხეულის რეაქციას ფიზიკულტურის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საექიმო კონტროლის ლაბორატორიის გამგის ე. სტეპანოვას ხელმძღვანელობით მთელი ბრიგადა სწავლობს.

„ფარდის დახურვის“ წინ მორბენლებს მხარი აუბეს ბადროს მტყორცნელებმაც. ასპარეზობდნენ მხოლოდ სამი — ლიტველი ლ. იარასი, თბილისელი გ. გუდაშვილი და ვ. ლიახოვი (მოსკოვის ოლქი). და თუმცა ოქრო და ვერცხლი უკვე ლენინაკანში გაითამაშეს, ისინი აქაც მონდომებით იბრძოდნენ. შედეგებიც ჩინებული იყო.

ჯერ ადგილზე სტაბილურად იასპარეზა საქართველოს დედაქალაქის დინამოელმა გურამ გუდაშვილმა. მეორე ცდაზე მან 60.30 მ აჩვენა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი 1.14 მეტრით გაუმჯობესა. ამ ტყორცნამ გუდაშვილი ლიდერებში დააწინაურა. მან კიდევ ორჯერ გადააცილა ბადრო საქართველოს ძველი რეკორდის აღმნიშვნელ ხაზს — ჯერ 59,66 მ აჩვენა, შემდეგ — 59.92.

გუდაშვილს მხოლოდ ბოლო ცდაზე გაუსწრო ლიახოვმა. ამ უკანასკნელის მაჩვენებელი — 61,18 მ რსფსრ-ს ახალი რეკორდი და საამაყო მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი. ეს მხოლოდ 46 სანტიმეტრით ნაკლებია სსრ კავშირის რეკორდზე.

იარასის შედეგია 59.96 მ.

* * *

სურათზე: გ. გუდაშვილი ტყორცნის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ყოჩაღ. ფოთელო პიონერებო!

ჩერნოვცი, 20 აგვისტო (ტელეფონით). უკრაინის ამ ქალაქში ტარდება პიონერული ასაკის მომაშეთა საკავშირო პირველობა, რომელშიც 17 გუნდი მონაწილეობს.

საქართველოს სახელით წარმატებით გამოდის ფოთის მე-9 საშუალო სკოლის გუნდი. ფოთელებმა დიდი უპირატესობით სძლიეს მოსკოვისა და აზერბაიჯანის გუნდებს ერთსაირი ანგარიშით — 3:1. მოუგეს ბელორუსიის გუნდსაც (2,5:1,5), ხოლო შეხვედრა მოლდაველებთან ყაიმით (2:2) დაამთავრეს.

შეჯიბრება გრძელდება.

საქართველოს ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 22 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	25	16	7	2	51—14	39
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	27	14	9	4	50—26	37
ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი)	27	13	10	4	44—26	36
„სინათლე“ (თბილისი)	28	14	6	8	40—24	34
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	27	11	12	4	32—19	34
„აერო“ (გალი)	27	11	10	6	31—26	32
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	27	11	10	6	34—30	32
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	27	11	9	7	36—32	31
„სპარტაკი“ (ბორჯომი)	25	9	12	4	33—22	30
„სულორი“ (ვანი)	27	12	5	10	31—24	29
„დურუჯი“ (უვარელი)	27	9	10	8	39—26	28
„მშენებელი“ (სიღნაღი)	25	8	8	9	25—32	24
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	28	9	6	13	24—43	24
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	27	8	6	13	29—46	22
„ლაიფური“ (მახარაძის რაიონი)	27	7	7	13	23—29	21
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	27	6	9	12	24—37	21
„ისანი“ (თბილისი)	27	6	8	13	22—34	20
„სამცხე“ (აწყური)	26	4	10	12	25—33	18
„არაგვი“ (მცხეთა)	26	8	2	16	21—36	18
„ბარეჯი“ (საგარეჯო)	25	6	6	13	24—41	18
„მესხეთი“ (ახალციხე)	25	5	7	13	16—29	17
„ქართლი“ (გორის რაიონი)	25	6	5	14	22—40	17

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 22 აგვისტოსათვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	17	13	3	1	32—10	29
„წრ. რეზერვები“ (გარდაბანი)	17	13	2	2	31—12	28
„ვაჟალა“ (ვაჯისუბანი)	18	9	5	4	36—27	23
„მეტალურგი“ (რუსთავი)	19	10	2	7	33—25	22
„თრიალეთი“ (წალკა)	17	7	5	5	16—18	19
„არაგვი“ (დუშეთი)	16	8	2	6	24—24	18
„ზემო ქართლი“ (ხაშური)	16	5	6	5	19—17	16
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	17	6	3	8	19—20	15
„აბული“ (ახალქალაქი)	17	6	3	8	20—25	15
„ელმავალმშენი“ (თბილისი)	16	6	1	9	17—26	13
„შარძიანა“ (ასპინძა)	16	5	2	9	17—28	12
„შირაქი“ (წითელწყარო)	16	6	0	10	20—32	12
„ბარისი“ (თეთრი წყარო)	16	5	2	9	16—30	12

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი“ (ხობი)	16	9	6	1	29—13	24
„განთიადი“ (აბაშა)	15	7	7	1	17—6	21
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	14	8	3	3	33—10	19
„ტორპედო“ (ქუთაისი)	15	6	6	3	18—13	18
„ბანახლება“ (ადიგენი)	15	6	5	4	18—18	17
„სამზარეული“ (წყალტუბო)	15	6	4	5	20—18	16
„დინამო“ (ოჩამჩირე)	16	4	8	4	10—12	16
„იმერეთი“ (თერჯოლა)	15	5	5	5	22—15	15
„ჩიხურა“ (სარჩხერე)	16	4	7	5	14—22	15
„ელექტრიკოსი“ (ქუთაისი)	15	3	7	5	12—15	13
„კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ)	15	3	6	6	11—14	12
„რიწა“ (გუდაუთა)	13	3	5	5	17—28	11
„სარმე“ (მაიაკოვსკი)	15	2	5	8	14—30	9
„კოლხეთმშენი“ (ფოთი)	15	2	2	11	17—32	6

თქსზე

დღეს მეოთხედფინალური მატჩებია საქართველოს თასზე. გადადგმის. „შრომითი რეზერვები“ თავის მინდორზე მიიღებს ვაზისუბნის „მეცენატს“, ხოლო თბილისის „სინათლე“ — სამტრედიის — „ლოკომოტივს“ (ეს მატჩი „სინათლის“ სტადიონზე შედგება 14 საათზე).

წულუკიძეში ითამაშებენ ადგილობრივი და ცხაკაელი ფეხბურთელები.

23 აგვისტოს სიღნაღში შედგება მატჩი ადგილობრივ „მშენებელსა“ და ჩხოროწყუს „კოლმეურნეს“ შორის.

გუშინ...

სორბონელი კალათბურთელების სტუმრობას მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა როდი აქვს. ფრანგ და ქართველ მეგობრებს, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს სტუდენტებს, ბევრი რამ აქვთ საერთო და აბა, რა გასაკვირია, რომ ისინი ასე გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს თბილისის ვოგზალზე (ზედა სურათი).

სტუმრებს აიხტერესებთ ყველაფერი, რაც მათი თბილისელი კოლეგების ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და, რა თქმა უნდა, ქალაქის სპორტული ბაზები.

შუა სურათზე თქვენ ხედავთ ძვირფას სტუმრებსა და მათ მასპინძლებს დახურული საცურაო აუზიდან გამოსვლის შემდეგ.

ქვედა სურათზე (მარცხნიდან): მარი-ეოზე მონტანს, მიშელ ეანეს და კოლეტ ბრიანს „დინამოს“ სტადიონის დათვალიერებისას აპარატები მოუმარჯვებიათ.

ფოტო მ. ზარგარიანისა.





• KOPANA • ФУТБОЛ • ФУТБОЛ • LABDARUGA •

ჩემპიონის მარცხი

ლონდონი, 20 აგვისტო. ინგლისის პირველობის სტარტი უღიბლო გამოდგა ამ ქვეყნის ჩემპიონის „მანჩესტერ სიტისთვის“: მან მარცხი განიცადა (1:2) ლივერპულში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან. გაბრაზებულმა ჩემპიონებმა მომდევნო ტურში შური იძიეს „მგლებზე“ („ვულვერჰემპტონ უონდერერსი“) — მწვავე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს — 3:2.

პირველი წრის მატჩებს მილიონზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

ასპარეზობენ დი სტეფანოს

განთქმულმა არგენტინელმა თავდამსხმელმა ა. ლაბრუნამ, რომელიც 40 წლის ასაკში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში, დღეს კი თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელად მუშაობს, წინადადება შეიტანა ამ ნაკრების სათავეში ა. დი სტეფანო ჩააყენონ.

ლაბრუნა აცხადებს, რომ დი სტეფანო, რომელიც ჩინებულად იცნობს როგორც არგენტინულ, ისე ევროპულ ფეხბურთსაც, გუნდს დიდად უნდა გამოადგეს.

რა შედეგები მოჰყვება ლაბრუნას ამ წინადადებას, ჯერჯერობით არავინ იცის. ის კი ნათელია, რომ არგენტინაში ამასწინანდელი მოგზაურობის დროს დი სტეფანოს საუბარი ჰქონდა ადგილობრივი ფეხბურთის მესვეურებთან, რომელთაც ახლა ერთი რამ აფიქრებთ: მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი.

მწვრთნელის როლში

ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების სახელოვანი მეკარე ჯ. გრეგი ამიერიდან აღარ ითამაშებს ფეხბურთს. იგი ინგლისის III ლიგის კლუბ „შრუსბერი ტაუნის“ მწვრთნელი გახდა.

გრეგი ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, რომელიც ბედნიერად გადაურჩა „მანჩესტერ იუნაიტედის“ კატასტროფას. 1958 წელს შვეიცარიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში იგი საუცხოოდ იცავდა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების კარს და მსოფლიოს ოდენ ლურ ნაკრებშიც შევიდა.

„ფრანს ფუტბოლის“ აზრით

პარიზის ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ გამოაქვეყნა ევროპის უძლიერესი საკლუბო გუნდების სია 1967-68 წლების სეზონის შედეგების მიხედვით. გათვალისწინებულია არა მარტო ევროპის დიდი ტურნირები, არამედ ეროვნული ჩემპიონატებიც.

ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად I-II ადგილებზე გავიდნენ იტალიის ჩემპიონი „მილანი“ და პორტუგალიის ჩემპიონი „ბენფიკა“ (38 ქულა თვითეულს). III ადგილი მიეკუთვნა „სელტიკს“ (შოტლანდია) — 35 ქულა, IV — „სენტ-ეტიენს“ (საფრანგეთი) — 34 ქულა და მხოლოდ V — ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს — „მანჩესტერ იუნაიტედს“ (ინგლისი) — 33 ქულა.

„გერმანელებმა განძს მიაგნეს“

დაცინვით აღნიშნავს პოლონური გაზეთი „სპორტის“ მიმომხილველი. იგი „განძად“ გულისხმობს ავსტრიას, სადაც გფრ-ის გუნდები გუთაევებლად იბირებენ მოთამაშეებს. თუ ადრე გფრ-ში გამოდიოდნენ ცნობილი ავსტრიელი ფეხბურთელები სტოიასპალი, ჰაპელი, მელხეიმი, პრობსტი და ოცვირკი, ახლა იმპორტი კიდევ უფრო გაიზარდა. აი, ავსტრიის ნაკრების ის მოთამაშეები, რომლებიც გფრ-ის კლუბებმა გადაბირეს: ფრაიდლი („ჰერტა“), ჰუმი („ბაიერნი“), ჰაზილი („შალკე 04“), კონდერტი (ოფენბახის „კიკერსი“), ჰუბერტსი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაპტი“), შმიდტი („კაიზერსლაუტერნი“), სტარეკი („ბაიერნი“) და გაიერი („ჰანოვერი“).

ალექსანდრიას მეცხრე მოგება

დუშეთი, 21 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის მონაწილეებმა გუშინდელი დასვენების დღე ფასანაურში გაატარეს. ადრე მათ ჩარგალში ვაჟაფშაველას სახლ-მუზეუმი და ახალურის ციხე დათვალიერეს.

დღეს შედგა X ტურ. ზ. შენგელია (სამტრედია) გარკვეულ მოენტამდე კარგად თამაშობდა ნ. ალექსანდრიას წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს ოსტატმა თავისი გაიტანა და გაიმარჯვა.

ს. ივანოვამ მოუგო ლ. კოროშინაძეს, ხოლო ც. სიორდია (ცხაკაია) და ე. ლომაძე (ქუთაისი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

სხვა პარტიები გადიდო.

10 ტურის შემდეგ ნ. ალექსანდრიას 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ც. კობაიძესა და მ. სანაძეს — 7,5-7,5 და ითთო გადადებული პარტია.

ბრძოლა 100 შავ-თეთრ უჯრაზე

ქუთაისი, 21 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ რამდენიმე დღეა მიმდინარეობს მოშაშეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 4 ქვეყნის 13 ოსტატი მონაწილეობს.

თავდანვე დაწინაურდა ი. დერეეტერი (ჰოლანდია), რომელსაც 5 ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. კარგად გამოდის ახალგაზრდა ლენინგრადელი ვ. მოგილიანსკი — 3,5 ქულა 4-დან.

მსოფლიო ჩემპიონმა ა. ანდრეიკომ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 2,5 ქულა დააგროვა.

საქართველოს ჩემპიონს, ოსტატ თენგიზ ბარამიძეს 1,5 ქულა აქვს 4-დან.

პირველ დასვენების დღეს მოშაშეები მაიაკოვსკში იყვნენ და გამოჩენილი საბჭოთა პოეტის სახლ-მუზეუმი დათვალიერეს.

* * *

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონის ა. ანდრეიკოსა და სპორტის ოსტატ ხ. გულიაევის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ჯ. ფხაკაძისა.



პრაქტიკულად აჩვენებს

„ინფორმული ფრანგი თავდამსხმელი ჟ. ვენსანი წლების განმავლობაში გამოდიოდა „სტად დე რეიმსში“ კოპასა და პიანტონის მხარდამხარ. ამ გუნდის შემადგენლობაში ვენსანი თბილისშიც ყოფილა. იგი მონაწილეობდა მსოფლიოს 1954 და 1958 წლების ჩემპიონატებში, შვეიცარიაში მან ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

კოპა და პიანტონი კარგა ხანია ჩამოცილდნენ ფეხბურთს, ვენსანი კი ამაზე არც ფიქრობს. ეს მარცხენა გარემარბი, რომელსაც 53-ჯერ უთამაშია საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში, ახლა წვრთნის შვეიცარიის I ლიგის კლუბ „შო დე ფონს“ და ამ კლუბშივე თამაშობს. მისთვის ჩვეულ ადგილზე.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ვენსანი „შო დე ფონის“ № 1 ფეხბურთელია და პრაქტიკულად აჩვენებს თავის აღსაზრდელებს როგორ უნდა თამაში.

პიკი კვლავ ითამაშებს

იტალიის ნაკრების წამყვანი მოთამაშე და მრავალი წლის კაპიტანი პიკი მძიმედ დაშავდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბულგარელებთან. მისი მკურნალობა გაჭიანურდა. პიკის აქვს მწვრთნელის დიპლომი, ამიტომ ბევრი მოელოდა, რომ იგი თავს დაანებებდა თამაშს და რომელიმე გუნდს ჩაუდგებოდა სათავეში. „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი ვალკარეჯი აპირებდა კიდეც მის მიწვევას თავის მოადგილედ.

მაგრამ პიკიმ გადაჭრით უარყო წინადადება გადადგომის შესახებ. იგი გამოჯანმრთელდა და, როგორც მინიმუმი, კიდევ აპირებს ერთი წელი დარჩეს „ვარეზეში“, რომლის კაპიტანიც გახდა ამ გუნდში „ინტერიდან“ გადასვლის შემდეგ.

მოკლედ

● **პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციაში განხილულ იქნა საკითხი რესპუბლიკის ჩემპიონატის ნაცვლად ჩატარდეს 2 შეჯიბრება — ჩეხია-მორავიისა და სლოვაკიის პირველობები ცალ-ცალკე. ეს წინადადება არ გავიდა. ჩემპიონატში, რომელიც 11 სექტემბერს დაიწყება, 14 გუნდი ითამაშებს, აქედან 6 ჩეხური და 8 სლოვაკიური. გაისად ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი 16-მდე გაიზრდება.

● **ნიუ-იორკი.** აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა ეროვნული ნაკრების შესადგენად, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნულია უელსის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ახლა კი „ატლანტას“ მენეჯერი ვუსმანი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბაზები

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 22 აგვისტო. სსრ კავშირის პირველობა. „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 45 წ.

კალათბურთი. კიროვის სახ. პარკის სტადიონი. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — სორბონის უნივერსიტეტი (პარიზი). დღეს, — დასაწყისი 20 ს., 24 აგვისტოს — 18 ს.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) იმუშავებენ ფასიანი საბავშვო ჯგუფები ცურვაში.

ჯგუფებში მოსწავლეთა მიღება ყოველდღე 9-დან 12 საათამდე და 14-დან 17 საათამდე.

ცნობებისთვის მიმართეთ დირექციას. ტელეფონი 22-61-00.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. УЕ 00843